

PCAOB-ის ინსპექტირების ახალი ანგარიშის გზამკვლევი



ზოგადი მიმოხილვა

საჯარო კომპანიების ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭო (PCAOB ან საბჭო) ატარებს რეგისტრირებული აუდიტორული ფირმების ინსპექტირებას, რათა შეაფასოს თითოეული ფირმის შესაბამისობა როგორც PCAOB-ის სტანდარტებსა და წესებთან, ასევე სხვა შესაბამის მარეგულირებელ და პროფესიულ მოთხოვნებთან. ჩვენ მიერ ჩატარებული ინსპექტირება მოიცავს ფირმის მიერ ანგარიშვალდებულ კომპანიებში განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის, შერჩევითად, გარკვეულ ნაწილის ანალიზს და ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის ელემენტების შეფასებას. PCAOB-ი თითოეულ ფირმას, რომელსაც ჩაუტარდა ინსპექტირება, აწვდის ანგარიშს, სადაც შეჯამებულია ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები.

საბჭოს მიერ პირველი დასკვნის გამოცემიდან 15 წელზე მეტი გავიდა, თუმცა აღნიშნული ინსპექტირების ანგარიშის ფორმატი უმეტესწილად უცვლელი რჩებოდა. ამჯერად, ჩვენი გარე დანტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე, მივიჩნევთ, რომ სასურველია ჩვენ მიერ მომზადებული ანგარიშის სტრუქტურის გაუმჯობესება, რათა მან შეძლოს დანტერესებული მხარეების მოთხოვნილებების უფრო ეფექტურად დაკმაყოფილება. იმისათვის, რომ უფრო მივუახლოვდეთ ჩვენს სტრატეგიულ მიზანს - მივაწოდოთ საზოგადოებას უფრო ნათელი და სასარგებლო ინფორმაცია - საბჭომ და შესაბამისმა პერსონალმა შეიმუშავეს ინსპექტირების ანგარიშის ახალი ფორმატი, რომელშიც:

- დახვეწილია შინაარსი იმგვარად, რომ იგი უფრო მკაფიო და მარტივად წაკითხვადია ინვესტორებისთვის, აუდიტის კომიტეტის წევრებისთვის, ანგარიშგების მომზადებლებისთვის, აუდიტორული ფირმებისა და ფართო საზოგადოებისთვის;
- გამოყენებულია ახალი სქემები და გრაფიკები იმგვარად, რომ ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი და აღქმადია;
- ნაკლებადაა გამოყენებული ტექნიკური და შაბლონური ენა; და
- ზოგადი ხასიათის (არა კონკრეტული ფირმისთვის დამახასიათებელი) ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას და როგორ გამოწმენთ ხელმისაწვდომია ახალ, გადამუშავებულ დოკუმენტში, შესაბამისად, ამგვარი ინფორმაცია თითოეულ ანგარიშში ცალ-ცალკე აღარ მეორდება.

გარდა ამ ცვლილებებისა, ჩვენი ანგარიშები მოიცავს ახალ ინფორმაციას, როგორცაა მაგალითად, ნაკლოვანებების მქონე აუდიტის კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ნაწილ I-ში. ყოველწლიურ ინსპექტირებას დაქვემდებარებული ფირმების შემთხვევაში, ახლა უკვე აღწერეთ PCAOB-ის ბოლო სამი წლის ინსპექტირების მონაცემებსაც. გარდა ამისა, ანგარიშვალდებულ საჯარო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ან/და ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის (Internal Control over Financial Reporting (ICFR) თაობაზე ფირმის მიერ მოსაზრების გამოთქმის მიზნით ჩატარებულ აუდიტში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღწერასთან ერთად, ჩვენი ახალი ანგარიში ასევე მოიცავს ახალ განყოფილებას, სადაც განხილულია ჩვენს სტანდარტებთან ან წესებთან შეუსაბამობის ზოგიერთი სხვა შემთხვევა.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ინსპექტირების ანგარიშის თითოეული განყოფილების ზოგადი მიმოხილვა, გამოყოფილია ძირითადი ინფორმაცია და ის ცვლილებები, რომელიც ჩვენი ანგარიშის მანამდე არსებულ ფორმატში განხორციელდა.

აღნიშნული პუბლიკაცია მომზადებულია PCAOB-ის პერსონალის მიერ საბჭოს ინიციატივებთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების მიზნით. აღნიშნული პუბლიკაცია არ ადგენს საბჭოს წესებს და არც საბჭოს მიერაა დამტკიცებული.

შინაარსი

ზოგადი მიმოხილვა	1
PCAOB-ის ინსპექტირების ახალი ანგარიშში შესული განყოფილებები	2
შესავალი განყოფილებები	2
ინსპექტირებისა და წინაურ მონაცემების ზოგადი მიმოხილვა ინსპექტირების წლის მიხედვით	3
ნაწილი I: ინსპექტირებისას გაკეთებული ზოგადი დასკვნები	4
ნაწილი II: ხარისხის კონტროლთან	

აშშ-ის ექვსი უმსხვილესი ფირმის 2018 წლის ინსპექტირების ანგარიშები ახალ ფორმატში გამოცემული პირველი ანგარიშებია. 2018 წლის ანგარიშები სხვა ყოველწლიურ ინსპექტირებას დაქვემდებარებული ფირმებისთვის ასევე მიჰყვება ახალ ფორმატს. იმ ფირმების 2019 წლის ინსპექტირების ანგარიშებში, რომლებიც ექვემდებარებიან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ინსპექტირებას, გამოყენებული იქნება ანალოგიური ახალი ფორმატი, მაგრამ ინსპექტირების სიხშირის, ფირმის ზომისა და ხასიათის გამო, შეიძლება არ მოიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რასაც ყოველწლიურ ინსპექტირებას დაქვემდებარებული ფირმების ანგარიშში შეხვდებით. PCAOB-ი ანგარიშის ახალ ფორმატს არ გამოიყენებს ბროკერ-დილერების აუდიტორების ინსპექტირების შემთხვევაში.

PCAOB-ის ინსპექტირების ახალ ანგარიშში შესული განყოფილებები

ჩვენი ახალი ანგარიში მოიცავს ხუთ ძირითად ნაწილს, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის - ყოველწლიურ თუ სამ წელიწადში ერთხელ ინსპექტირებას დაქვემდებარებულ - ფირმას შეეხება იგი:

- **შესავალი განყოფილებები:** რეზიუმე, სარჩევი, და ანგარიშის შინაარსისა და ჩვენ მიერ ინსპექტირებისას გამოყენებული მიდგომის მიმოხილვა.
- **ინსპექტირებისა და წინარე მონაცემების ზოგადი მიმოხილვა ინსპექტირების წლის მიხედვით:** ინფორმაცია ჩვენი ინსპექტირების მასშტაბისა და გამოვლენილი ნაკლოვანებების ხასიათისა და მოცულობაზე.
- **ნაწილი I – ინსპექტირებისას გაკეთებული ზოგადი დასკვნები**
 - **ნაწილი I.a:** ისეთი მნიშვნელობის მქონე ნაკლოვანებები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფირმას, აუდიტორული დასკვნ(ებ)ის გაცემის დროს, არ ჰქონდა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ანგარიშვალდებული საჯარო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ან/და ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის (ICFR) თაობაზე თავისი მოსაზრებ(ებ)ის დასასაბუთებლად.
 - **ნაწილი I.b:** ნაკლოვანებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ფირმის მიერ თავისი მოსაზრებ(ებ)ის დასასაბუთებლად მოპოვებული მტკიცებულებების შესაფერისობას ან საკმარისობას, თუმცა უკავშირდება PCAOB-ის სტანდარტებთან ან წესებთან შეუსაბამობის შემთხვევებს.
- **ნაწილი II – ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით გაკეთებული ზოგადი დასკვნები:** ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის კრიტიკა ან პოტენციური ნაკლოვანებები. ნაწილი II-ში აღწერილი ნაკლოვანებები არ საჯაროვდება ანგარიშის პირველად გამოცემისას.
- **დანართი ა – ფირმის გამომხაურება ინსპექტირების ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით:** ფირმის გამომხაურება ინსპექტირების ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით, გარდა იმ ნაწილებისა, რომელთაც მინიჭებული აქვს კონფიდენციალურობის გარანტია.

შესავალი განყოფილებები

რეზიუმე

რეზიუმეში წარმოდგენილია ჩვენი ინსპექტირებისას გამოვლენილი ძირითადი ნაკლოვანებების ზოგადი ხასიათის მიმოხილვა, რომელიც ინვესტორებს, აუდიტის კომიტეტის წევრებსა და სხვა მკითხველს მოკლე შეჯამების სახით, მკაფიოდ, აწვდის ინფორმაციას ფირმის, როგორც საბჭოს სტანდარტებთან და წესებთან, აგრეთვე სხვა შესაბამის მარეგულირებელ და პროფესიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

რას მოიცავს ანგარიში და ინსპექტირების მიდგომა

რეზიუმეს შემდეგ, ანგარიშში წარმოდგენილია შესავალი ინფორმაცია მოცემულ წელს ჩატარებული ინსპექტირების მასშტაბების შესახებ, როგორცაა მაგალითად, ფირმის მიერ ანგარიშვალდებულ კომპანიებში ჩატარებული რამდენი აუდიტი იქნა შერჩეული შემოწმებისთვის, და ინფორმაცია ამ აუდიტთა უმეტესობის ფისკალური წლის დასრულების თარიღის შესახებ.



შემდეგ კი მოკლედ არის აღწერილი ანგარიშში შესული თითოეული განყოფილება.

ინსპექტირების მიდგომისთვის განკუთვნილ განყოფილებაში, სტანდარტული, შაბლონური ფრაზების შემცირების მიზნით, მითითებულია ბმული ახალ ონლაინ დოკუმენტზე, რომელიც დეტალურად აღწერს ჩვენი ინსპექტირების მასშტაბებსა და პროცედურებს, რაც ერთნაირად შეეხება ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ყველა ფირმას.

ინსპექტირებისა და წინარე მონაცემების ზოგადი მიმოხილვა ინსპექტირების წლის მიხედვით

ანგარიშის მომდევნო განყოფილებაში მოცემულია ფირმის მიერ ანგარიშვალდებულ კომპანიებში განხორციელებული აუდიტის ჩვენ მიერ ინსპექტირებისთვის შერჩეული ნაწილების ზოგადი მიმოხილვა. ეს განყოფილება აგრეთვე მოიცავს თითოეული ფირმის ინსპექტირების წინა ორი წლის მონაცემებს. მართალია, ამ ინფორმაციის ნაწილი, მაგალითად დარგობრივი სექტორის მონაცემები, ინსპექტირების წინა ანგარიშებშიც იყო მოცემული, მაგრამ წინარე მონაცემები აქამდე წარმოდგენილი არ ყოფილა. ვინაიდან ჩვენი ინსპექტირების პროცესი დროთა განმავლობაში ვითარდება და იცვლება, ცხადია, წლებისა და ფირმების მიხედვით, შესაძლებელია (და ხშირად ასეც ხდება) შეიცვალოს ჩვენ მიერ ინსპექტირებისთვის შერჩეული საყურადღებო სფეროები და აუდიტის მიმართულებები. ამგვარი ცვლადი ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენი ინსპექტირების შედეგები ხშირად სხვადასხვა პერიოდთან ან ფირმასთან მიმართებით შესადარისი არ არის.

ამ განყოფილებაში წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია, საჭიროებისამებრ, თანდართული ცხრილებით, სქემებით და გრაფიკებით, რომლებიც მოიცავს ინსპექტირების სამი წლის მონაცემებს იმ ფირმებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან ყოველწლიურ ინსპექტირებას:

- აუდიტები, რომელთა მიმოხილვაც განხორციელდა
- ნაწილი I.a - გამოვლენილი ნაკლოვანებები იმ აუდიტებში, რომელთა მიმოხილვაც განხორციელდა
- აუდიტის მიმართულებები, რომელზეც გავლენა მოახდინა ნაწილი I.a-ში აღწერილი გამოვლენილი ნაკლოვანებების არსებობამ
- ყველაზე ხშირად გამოვლენილი ნაკლოვანებები, რომელთა აღწერა ხდება ნაწილი I.a-ში
- აუდიტის სფეროები, რომლებიც ყველაზე ხშირად ექვემდებარება მიმოხილვას
- აუდიტის სფეროები, რომლებშიც ყველაზე ხშირად გვხვდება ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც აღწერილია ნაწილი I.a-ში
- აუდიტის სტანდარტები, რომლებიც შეეხება იმ გამოვლენილ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღწერილია ნაწილი I.a-ში
- ინსპექტირების შედეგები ანგარიშვალდებულ კომპანიის საქმიანობის სფეროს მიხედვით
- ინსპექტირების შედეგები ანგარიშვალდებულ კომპანიის ამონაგების მიხედვით

ჩვენ აგრეთვე შეგვაქვს ინფორმაცია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების (ნაწილი I.a) მქონე შერჩეული აუდიტების კლასიფიკაციის ახალი სისტემის შესახებ. ჩვენი ანგარიშის ფორმატის გადასინჯვისას განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ იმაზე თუ როგორ გავცხადა იგი უფრო გამოსადეგი დაინტერესებული მხარეებისთვის. ამისათვის ერთ-ერთ საშუალებად მოვიაზრეთ ფირმის მიერ ჩატარებული აუდიტების დაჯგუფება და წარმოდგენა გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების (ნაწილი I.a) რაოდენობის მიხედვით. აგრეთვე იმის მიხედვით, სადაც გამოთქმული იყო არასწორი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ან/და ICFR-ზე. ანგარიშის ამ განყოფილებაში ახსნილია ახალი კლასიფიკაციის სისტემა და თან ერთვის სქემები, რომლებშიც წარმოდგენილია იმ შერჩეული აუდიტების რაოდენობა, რომლებიც მიეკუთვნება თითოეულ ამ კატეგორიას ინსპექტირების სამი წლის განმავლობაში.



ნაწილი I.ა-ში გამოყენებული კლასიფიკაცია არის შემდეგი სახის:

- აუდიტები, სადაც გამოთქმული იყო არასწორი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ან/და ICFR-ზე
- აუდიტები რამდენიმე ნაკლოვანებით
- აუდიტები მხოლოდ ერთი ნაკლოვანებით

ნაწილი I: ინსპექტირებისას გაკეთებული ზოგადი დასკვნები

ტრადიციულად, ჩვენი ინსპექტირების ანგარიშები მოიცავდა „ნაწილი I-ს“, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ინსპექტირების შედეგები ფირმების მიერ ანგარიშვალდებული კომპანიების აუდიტთან დაკავშირებით. ახალ ანგარიშში კი ნაწილი I მოიცავს ორ განყოფილებას - ნაწილი I.ა და ნაწილი I.ბ.

ნაწილი I.ა: აუდიტები, რომლებშიც გამოთქმულია დაუსაბუთებელი მოსაზრებები


ინსპექტირებისას გამოვლენილი გარკვეული ნაკლოვანებები, შესაძლოა ისეთი მნიშვნელობის იყოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფირმას, აუდიტორული დასკვნ(ებ)ის გაცემის დროს, არ ჰქონდა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ანგარიშვალდებული საჯარო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ან/და ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის (ICFR) თაობაზე თავისი მოსაზრებ(ებ)ის დასასაბუთებლად. ამგვარი მნიშვნელობის ნაკლოვანებები განხილულია ჩვენი ანგარიშის ნაწილი I.ა-ში. ანგარიშის ამ განყოფილებაში განხილულია ფირმის მიერ მოსაზრების დასასაბუთებლად ჩატარებულ აუდიტორულ სამუშაოში გამოვლენილი ნაკლოვანებები იმ ცალკეული აუდიტების მიხედვით, რომლებიც ინსპექტირებას დაექვემდებარა.

ნაწილი I.ა-ში თითოეული ანგარიშვალდებული სუბიექტი, რომელთა აუდიტიც ფირმამ ჩაატარა იდენტიფიცირებულია ასობით (მაგ.: ანგარიშვალდებული კომპანია A). თითოეული ანგარიშვალდებული კომპანიისთვის ჩვენ ვუთითებთ აუდიტის ტიპს, აუდიტის შესაბამის სფეროებს, რომლებზეც ნაკლოვანებებმა გავლენა მოახდინეს და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღწერას. ყოველი ამგვარი აღწერის შემდეგ, ვუთითებთ PCAOB-ის სტანდარტ(ებ)ს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება იმ მოთხოვნებს, რომლებიც ფირმამ არ შეასრულა.

ნაწილი I.ა-ში შესული ანგარიშვალდებული კომპანიების აუდიტები დაჯგუფებულია/კლასიფიცირებულია შესაბამისად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების მიხედვით. კლასიფიკაციის ფარგლებში, როგორც წესი, წარმოვადგენთ იმ აუდიტებს, რომელთა დაკავშირებითაც ჩვენს შეფასებაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების არსებობის შესახებ გათვალისწინებულია იმ ფინანსური ანგარიშგების ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნების მნიშვნელოვნება, რაზეც ზეგავლენა მოახდინა ნაკლოვანების არსებობამ, ან/და აღნიშნული ნაკლოვანებების ხასიათი და მოცულობა.

ნაწილი I.ბ: PCAOB-ის სტანდარტებთან ან წესებთან შეუსაბამობის სხვა შემთხვევები

მეტი გამჭვირვალობისთვის, PCAOB-მა ინსპექტირების ანგარიშს, ნაკლოვანებებზე დამატებითი მსჯელობის მიზნით, დაამატა ახალი ნაწილი - ნაწილი I.ბ - რომლებიც ინსპექტირების წინა ანგარიშგების I ნაწილში არ იყო წარმოდგენილი. ინსპექტირების ანგარიშის ამ ახალ ნაწილში - ნაწილი I.ბ - განხილულია ის ნაკლოვანებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ფირმის მიერ თავისი მოსაზრებ(ებ)ის დასასაბუთებლად მოპოვებული მტკიცებულებების შესაფერისობას ან საკმარისობას, თუმცა უკავშირდება PCAOB-ის სტანდარტებთან ან წესებთან შეუსაბამობის შემთხვევებს.



ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მაგალითი ნაკლოვანებების მქონე აუდიტის იმ სფეროებისა, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტორის მიერ აუდიტის გარკვეული სტანდარტებისა და PCAOB-ის წესების გამოყენებასთან და რომლებიც შეიძლება აღიწეროს ნაწილ I.ბ-ში:

- აუდიტის კომიტეტების ინფორმირება AS 1301-ისა და PCAOB-ის სხვა წესებისა და სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, რომლებიც შეეხება აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობასა და გარკვეული არააუდიტორული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით აუდიტის კომიტეტისგან სავალდებულო წინასწარი დასტურის მიღებას;
- დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება აუდიტში სხვა მონაწილეების ჩართულობის შესახებ სპეციალური ფორმის (Form AP) გამოყენებით PCAOB-ის 3211 წესის (PCAOB Rule 3211) შესაბამისად; და
- აუდიტის დოკუმენტაციის სრული და საბოლოო კრებულის დაკომპლექტება შენახვის მიზნით.

ნაწილი I.ბ-ში მოცემული ნაკლოვანებები წარმოდგენილია თანმიმდევრობით PCAOB-ის იმ სტანდარტებისა ან წესების ნომრების მიხედვით, რომელსაც ფირმა არ ასრულებდა.

ნაწილი II: ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით გაკეთებული ზოგადი დასკვნები


ნაწილი II მოიცავს ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის კრიტიკას ან პოტენციურ ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ფირმის შესახებ PCAOB-ის ინსპექტირების ანგარიშის პირველად გამოცემის დროს, ნაწილი II საზოგადოებისთვის საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. თუ ფირმა, PCAOB-ის ინსპექტირების ანგარიშის გამოცემიდან 12 თვის განმავლობაში, არ იზრუნებს საბჭოს მიერ ხარისხის კონტროლის სისტემის კრიტიკის ან პოტენციური ნაკლოვანებების გამოსწორებაზე, ანგარიშის II ნაწილი გასაჯაროვდება, სადაც უკვე შეტანილი იქნება ამგვარი ნაკლოვანებები.

დანართი ა: ფირმის გამოხმაურება ინსპექტირების ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით

ფირმებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩვენი ინსპექტირების ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინონ წერილობითი პასუხი. თუ ფირმა გადაწყვეტს წარმოადგინოს ამგვარი წერილობითი პასუხი და ამას დროულად გააკეთებს, ამ პასუხს, გარდა კონფიდენციალური ნაწილისა, შევითავსებთ მოცემულ დანართში.

თარგმანი მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სრული პასუხისმგებლობით. PCAOB არ არის პასუხისმგებელი თარგმნილი დოკუმენტის შინაარსისა და თარგმანის სიზუსტეზე. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მკითხველმა უნდა მიმართოს დოკუმენტის ორიგინალს, ინგლისურ ვერსიას.

The translation has been prepared under the full responsibility of Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS). PCAOB bears no responsibility for the content of the document or for the accuracy of the translation. In case of doubt the reader should refer to the original English version of the document.



გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება

ჩვენი ინსპექტირების ანგარიშის გაუმჯობესება იტერაციული პროცესია და მივესალმებით თქვენს უკუკავშირს/გამოხმაურებას, რადგან განვიხილავთ პოტენციურ სამომავლო ცვლილებებს. **გთხოვთ, ინსპექტირების ახალ ანგარიშთან დაკავშირებით თქვენი უკუკავშირის გასაზიარებლად მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს მოკლე გამოკითხვაში.**

დარჩით კავშირზე საბჭოსთან

Contact Us | Subscribe | PCAOB | @PCAOB_News